

ალა ანისიმოვა

პროფესორი, ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი

ოლეს გონჩარის სახელობის დნეპროპეტროვსკის ეროვნული უნივერსიტეტი

ანგლიციზმები და ლათინიზმები მულტილინგვურ კონტექსტში

(უმაღლესი განათლების ბროშურების მასალაზე)

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია, გვაჩვენოს ანგლიციზმებისა და ლათინიზმების მნიშვნელობა მულტილინგვურ კონტექსტში და დაამკვიდროს მათი ფუნქციონირების პრინციპები თანამედროვე უმაღლესი განათლების ტერმინოლოგიაში. კვლევა, ასევე, ხაზს უსვამს მიზეზებს, თუ რატომაა ინგლისური ენა თანამედროვე მსოფლიოს და ევროპის „ლინგვა ფრანკა“. საკვლევ მასალად გამოყენებულია ისეთი ევროპული ქვეყნების წამყვანი უნივერსიტეტების ბროშურები, როგორებიცაა: ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი. გაანალიზებული ბროშურების მთელი ინფორმაცია წარმოდგენილია თითოეული ზემოთ ნახსენები ქვეყნისთვის შესაბამის სახელმწიფო ენაზე. ამ სტატიის მთავარი ამოცანის შესრულების მიზნით, ვიყენებთ ლინგვისტური ანალიზის რამდენიმე მეთოდს. ვებგვერდებზე გამოყენებული ლექსიკის ანალიზი საშუალებას გვამძლევს, გამოვყოთ ტერმინების სამი ჯგუფი, რომლებიც „დამკვიდრებულია“ განხილულ ტექსტებში: 1) ლათინური ნასესხობები ლათინურიდან (ლათინიზმები); 2) უმაღლესი განათლების ტერმინები ინგლისურიდან (ანგლიციზმები); 3) არასაგანმანათლებლო ტერმინები ინგლისურიდან. კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ ლათინიზმებიც და ანგლიციზმებიც ფართოდ გამოიყენება ყოველი განსახილველი უნივერსიტეტის ბროშურებში. დამკვიდრებული ლათინიზმებისა და ანგლიციზმების გამოყენება ჰოლანდიურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ და ესპანურ უმაღლესი განათლების ბროშურებში შევისწავლეთ და მივედით დასკვნამდე, რომ ეს ფენომენი დაკავშირებულია მცდელობასთან, გაერთიანდეს თანამედროვე უმაღლესი განათლების სისტემის ტერმინოლოგიური აპარატი, გახდეს ის ჰომოგენური და თავი აერიდოს არასწორ სემანტიკურ ინტერპრეტაციებს.

საკვანძო სიტყვები: ლინგვა ფრანკა, მულტილინგვიზმი, ლათინიზმები, ანგლიციზმები, უმაღლესი განათლების ტერმინოლოგია.

შესავალი

ენა და კომუნიკაცია ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ენას ვიყენებთ ყველგან: ინფორმაციის გასაცვლელად, ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად და შესანარჩუნებლად, სოციალური ქმედებების სტრუქტურირებისა და კოორდინაციისთვის და ინდივიდუალური თუ სოციალური იდენტობის ჩამოსაყალიბებლად. თანამედროვე მსოფლიოს ადამიანთა უმრავლესობას სჭირდება ორი ან მეტი ენის გამოყენება ყოველდღიური ცხოვრებისა და სამსახურებრივი გამოწვევების დასაძლევად.

უნდა აღინიშნოს, რომ ენა არ არის მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება. ნებისმიერი ენა შეიცავს სამ დაკავშირებულ განზომილებას, რომლებიც გამოხატულია კომუნიკაციის პროცესის სხვადასხვა დონეზე. პირველ რიგში, ყოველი ენა არის სიტყვათა მნიშვნელობების მატარებელი და შემქმნელი. ეს მჭიდროდაა დაკავშირებული პიროვნების მენტალურ აქტივობასთან. ამას გარდა, ენა სხვა ადამიანებთან ინფორმაციის მიმოცვლისა და თანამშრომლობის ინსტრუმენტია. ჩვენ გავლენას ვახდენთ სხვებზე ფიქრების ან გრძნობების გამოხატვით. დაბოლოს, ყოველი ენა არის საშუალება,

რომლითაც ხდება უნარების, იდეებისა და ღირებულებების შექმნა და გაზიარება.

ყველა ეს ფაქტორი გავლენას ახდენს ენის ჩამოყალიბების (ან განვითარების) პროცესზე და ცხადად ჩანს უმაღლესი განათლების ტერმინოლოგიაში, რომელშიც შეიმჩნევა მულტილინგვური ასპექტები, თუნდაც თანამედროვე ევროპული უნივერსიტეტების ბუკლეტებში ლათინიზმებისა და ანგლიციზმების გამოყენების სახით.

თეორია

მსოფლიოს ყველა ენამ ხელი უნდა შეუწყოს კაცობრიობის ძმობას და ეს ასეც არის. ხალხის უმრავლესობის მცდარი აზრის მიუხედავად, ენა არ არის მხოლოდ გრამატიკული სტრუქტურა, რაიმე სინტაქსური კოდით დაკავშირებულ სიტყვათა სიმრავლე. ენა, ასევე, არის (და ეს ძალიან მნიშვნელოვანია!) ჩვენს შეგრძნებებზე დაფუძნებით მნიშვნელობების შექმნა. შესაბამისად, ჩვენ ვაკვირდებით, ინტერპრეტაციას ვუკეთებთ და გამოვხატავთ სამყაროს სპეციფიკურ პირად, გეოგრაფიულ და პოლიტიკურ კონტექსტებში. [1.a.i.23].

უნდა აღინიშნოს, რომ ენა არის რთული სისტემა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებულ ასპექტს: სემანტიკას, სტილს, სინტაქსს,

ლექსიკას, გრამატიკას. ყველა ეს ასპექტი უმნიშვნელოვანესია და გასათვალისწინებელია ლინგვისტური თავისებურებების ანალიზისას. თითოეული ამ ასპექტთაგანი შეიძლება შევისწავლოთ სხვადასხვა გადმოსახედიდან. ამის შედაგად, არსებობს უამრავი ლინგვისტური თეორია და ყველა ლინგვისტს აქვს საკუთარი მოსაზრება კონკრეტულ ფენომენებთან დაკავშირებით.

კვლევის ფარგლებში ჩვენ ვეხებით ისეთ თეორიებს, როგორებიცაა: ენობრივი ნიშნების ბუნება, ინგლისურის ენის ტერიტორიული ვარიანტები, ინგლისური, როგორც ევროპის ლინგვა ფრანკა და მულტილინგვურობა.

ენობრივი ნიშნების ბუნებაზე საუბრისას ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ის ერთ-ერთი საბაზისო ლინგვისტური თეორიაა. პირველ ლინგვისტი, რომელმაც ის ჩამოაყალიბა, იყო შვეიცარიელი ფერდინანდ დე სოსიური. შემდგომში მისი იდეები განავრცო და განაახლა რამდენიმე სხვა ლინგვისტმა: რ. კელერმა აქცენტი გააკეთა იმაზე, რომ „ენობრივი ნიშანი - ეს არის მინიშნება, რომლითაც მოლაპარაკე „ამარაგებს / აწვდის / რთავს“ ადრესატებს“ [1.a.i.8]; მ. ფუკომ, რომელმაც შემოგვთავაზა კავშირი ენობრივ ნიშანსა და იმ კულტურას შორის, რომელშიც ის ფუნქციონირებს [1.a.i.1]; ჩ. ოგდენმა და ი. რიჩარდსმა, რომლებმაც შეიმუშავეს

ენობრივი ნიშნის სამხრივი მოდელი, „სემანტიკური სამკუთხედი“ [1.a.i.11] და სხვ. თუმცა, კლასიკურ მოდელად ითვლება დე სოსიურის მოდელი, შესაბამისად, ამ კვლევაში ჩვენ მის თეორიას დავეფუძნებით.

ენობრივი ნიშნის ბუნების კლასიკური თეორიის ცენტრალური იდეა დაფუძნებულია იმ ფაქტზე, რომ ყველა ენა შედგება ნიშნებისაგან და ყოველ ნიშანს აქვს ორი განუყოფელი მხარე: აღმნიშვნელი (სიტყვის ფორმა) და აღსანიშნი (მენტალური კონცეფცია) [1.a.i.12]. როდესაც ამ ორ მხარეს შორის ბალანსი ირღვევა (მაგალითად, სიტყვის სხვა ენაში ტრანსლირებისას / გადაცემისას), სიტყვა კარგავს თავის თვისებას, იყოს ენობრივი ნიშანი და ხდება უბრალოდ ასოების მიმდევრობა. ამ ფაქტორმა შესაძლოა გამოიწვიოს გაუგებრობები და კონფლიქტებიც კი [1.a.i.24]; ის შეიძლება გახდეს პრობლემა ინტერკულტურული კომუნიკაციისას, რაც, გლობალიზაციის გავრცელების გამო, ერთ-ერთი უმთავრესია იმ საკითხთა შორის, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვენ.

ეს, ასევე, ერთ-ერთი მიზეზია მსოფლიოსა და ევროპისთვის, გამოიყენოს ინგლისური, როგორც ლინგვა ფრანკა - გამაერთიანებელი ენა, რომელიც ორივე მხარეს ეცოდინება და მოაგვარებს არაადეკვატური თარგმანისა და სიტყვის ფორმასა და მნიშვნელობას შორის

დისბალანსის პრობლემებს.

უკანასკნელ 50 წელიწადში უაღრესად სწრაფი ტემპებით განვითარდა ინფორმაციული ტექნოლოგიები და თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებები. ამ პროცესმა ხელი შეუწყო ინგლისური ენის გლობალური მასშტაბით გავრცელებას. ინგლისური დღესდღეობით მთავარი კანდიდატია ლინგვა ფრანკად გახდომისა, რადგან ის გამოიყენება საზოგადოების ყველა სფეროში და არის მეორე ადგილზე მსოფლიოს ტოპ 20 ენათა სიაში (350 მლნ. ადამიანისთვისაა მშობლიური ენა), ჩინურის შემდეგ. ამას გარდა, 423 მილიონზე მეტი ადამიანისთვის ინგლისური არის არამშობლიური ენა, რომელზეც მათ ლაპარაკი შეუძლიათ [1.a.i.16, p. 65].

ინგლისურის, როგორც თანამედროვე ევროპული ლინგვა ფრანკას იდეა შეიძლება უფრო განვითარდეს ამ ენის ტერიტორიული ვარიანტების თეორიის ფარგლებში. ამ თეორიას შეისწავლის მრავალი ლინგვისტი, მაგალითად ბ. კაჩრუ [1.a.i.7], ჯ. ჯენკინსი [1.a.i.6], ბ. ზაიდჰოფლერი [1.a.i.13], ს. მოლინი [1.a.i.9] და სხვები.

თანამედროვე ლინგვისტები, რომლებიც შეისწავლიან ინგლისური ენის ტერიტორიულ ვარიანტებს, ეთანხმებიან ბ. კაჩრუს შემუშავებულ თეორიას, რომელმაც ინგლისური ენის გამოყენების სამი წრე შემოგვთავაზა: შიდა წრე, გარე

წრე და ე.წ. „გაფართოებადი“ წრე [1.a.i.7].

ამ თეორემის თანახმად, შიდა წრე შეზღუდულია ინგლისური ენის გამოყენებით „მშობლიურ“ კონტექსტში, ისეთ ქვეყნებში, რომლებიც ინგლისურენოვნებად მიიჩნევა: დიდი ბრიტანეთი, აშშ, ავსტრალია, ახალი ზელანდია, კანადა, ირლანდია და სამხრეთ აფრიკა. გარე წრე მოიცავს ინგლისური ენის ნაციონალურ ვარიანტებს („მსოფლიო ინგლისურებს“): ინგლისური ენის მალაიზიურ, სინგაპურულ, კენიურ, ნიგერიულ და სხვა „ადგილობრივ“ ვარიანტებს. ხოლო მესამე, „გაფართოებადი წრე“, მოიცავს ისეთ ქვეყნებს, სადაც ინგლისური არის უცხო ენა ყოველგვარი სახელმწიფო ფუნქციის (პოლიტიკური, იურიდიული, სოციალური) გარეშე. ეს წრე მოიცავს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს, სადაც ინგლისური მიიჩნევა საერთო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ინფორმაციულ და საგანმანათლებლო სივრცეებში ინტეგრაციის გზად [1.a.i.7]. ჩვენი აზრით, ევროპაც ამ ჯგუფს ეკუთვნის. ამ აზრს ეთანხმებიან ისეთი ლინგვისტები, როგორებიც არიან ა. რ. ჯეიმსი [1.a.i.4], პ. იესენკა [1.a.i.5], ა.ვილტონი და ა. დე ჰუვერი [1.a.i.14]. ამას გარდა, ინგლისური არის პირველ ადგილზე ევროკავშირის ოფიციალური ენების სიაში. ყველა ბიზნეს-წერილი და დოკუმენტი იწერება ამ ენაზე. ევროსტატის თანახმად, ინგლისური არის

ევროკავშირის ქვეყნებში ყველაზე გავრცელებული ენა [1.a.i.19].

მეორე მხრივ, მთელი მისი არსებობის მანძილზე ევროკავშირი ხელს უწყობდა მულტილინგვურობასა და ენებისა და კულტურების მრავალფეროვნებას. სწორედ ამიტომ მულტილინგვურობასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა მეცნიერთა უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იპყრობდა. ამ ფენომენის განსაკუთრებული თვისებები აღწერეს თავიანთ ნამუშევრებში ისეთმა ლინგვისტებმა, როგორებიცა არიან ა. ვილტონი [1.a.i.15], ჯ. დევაელე და ლ. ვეი [1.a.i.1], ნ. ჰორნბერგი და ვ. ვაიში [1.a.i.3] და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ 2004 წელს ჩამოყალიბდა ევროპის საბჭოს პოზიცია განათლების, ტრენინგების, კულტურისა და მულტილინგვურობის საკითხებში. ევროკავშირის ოფიციალური პოლიტიკა აქტიურად უწყობს ხელს მოქალაქეებში მულტილინგვურობის გავრცელებას. ამ ინიციატივის მნიშვნელოვანი ნაწილია „ევრობარომეტრის კვლევების“ გამოყენებით, ენის ცოდნის, პრაქტიკისა და დამოკიდებულების ახლო მონიტორინგი. უახლესი შედეგები ერთობ პოზიტიურია, მულტილინგვურობის მაღალი დონით და ენებისადმი ზოგადად დადებითი დამოკიდებულებით [1.a.i.10; p.4].

საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ ლინგვისტური მრავალფეროვნება ევროპის იდენტობის მნიშვნელოვანი თვისებაა.

ბრიუსელში დაფუძნებული ევროკავშირიც და სტრასბურგში დაფუძნებული ევროსაბჭოც აქტიურად ავრცელებენ ენების შესწავლასა და მულტილინგვურობას / პოლილინგვურობას. ენობრივი პოლიტიკის მთავარი სააგენტო ევროკომისიაში არის მულტილინგვური პოლიტიკის განყოფილება (განათლებისა და კულტურის დეპარტამენტი), ხოლო ევროსაბჭოში - ენობრივი პოლიტიკის განყოფილება (განათლების დეპარტამენტი).

მულტილინგვურობა არის დღევანდელი საზოგადოებისთვის საერთო და მზარდი ფენომენი, რომლის შესწავლაც სხვადასხვა პერსპექტივიდან შეიძლება. ევროსაბჭო განასხვავებს პლურილინგვურობას, როგორც მოლაპარაკის კომპეტენციას (უნარს, გამოიყენოს ერთ ენაზე მეტი) და მულტილინგვურობას, როგორც მოცემულ გეოგრაფიულ მხარეში სხვადასხვა ენის არსებობას. ევროკავშირი იყენებს მულტილინგვურობას ორივე შემთხვევაში (მაგრამ ხანდახან აკონკრეტებს „ინდივიდუალის მულტილინგვურობას“) [1.a.i.10; p.14].

გარდა ამისა, მულტილინგვურობა არის ერთ-ერთი კომპეტენციათაგანი, რომელიც სჭირდება თანამედროვე სპეციალისტს კარიერაში წარმატების მისაღწევად. ეს იდეა არსებობდა ცენტრალური ევროპის პოლიტიკაში ევროკავშირის შექმნის დღიდან. თუმცა, პირველი ოფიციალური რეკომენდაციები

ევროკომისიამ მხოლოდ 2005 წელს ჩამოაყალიბა.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზეც, რომ მულტილინგურობის გზა არის საგანმანათლებლო პროგრამების მხარდასაჭერად მიმართული მოქმედებების სიმრავლე; ის წინასწარ უშვებს მინიმუმ 2 უცხო ენის სწავლას და ენობრივი მრავალფეროვნების დასაცავი აქტივობების კეთებას, რითაც უცხო ენების სასწავლო დრო იზრდება. არც ერთი ოფიციალური დოკუმენტი არ ახსენებს რომელიმე ენის შესწავლის აუცილებლობას. ამის შედეგად, ყოველი ქვეყნის ენობრივი პოლიტიკა უნდა იყოს დაბალანსებული და გონივრული. ენობრივი ტოტალიზმი თანამედროვე მულტინაციონალურ გლობალურ საზოგადოებაში შეუძლებელია.

ევროკავშირს, როგორც დემოკრატიულ ორგანიზაციას, უხდება მოქალაქეებთან მათ ენაზე საუბარი. იგივე სიტუაციაა ნაციონალურ მთავრობებსა და სახელმწიფო სამსახურებთან, ბიზნესებსა და სხვა ორგანიზაციებთან ევროკავშირში. ევროპელებს აქვთ უფლება იცოდნენ, რა კეთდება მათი სახელით. მათ უნდა შეეძლოთ აქტიური მონაწილეობის მიღება სხვა ენის სწავლის გარეშე [1.a.i.20].

რაც შეეხება ჩვენს კვლევას, ჩვენ მულტილინგურობა გვესმის, როგორც განსხვავებული ენების არსებობა მოცემულ გეოგრაფიულ მხარეში და

მივიჩნევთ ამ განსაზღვრებას, როგორც ყველაზე მთავარს ჩვენი ნაშრომისთვის.

ზემოთ ნახსენები ფაქტორები ხსნიან, თუ რატომ არის ევროპაში ინგლისური ენის დომინანტობის თემა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური. ინგლისური ენის ინტერნაციონალურ ენად გამოყენება გლობალიზაციის პროცესში ფუნდამენტურად ცვლის ენის ბუნებასა და გამოყენებას. გლობალიზაციის ტრანსფორმირების პროცესში მყოფ მსოფლიოში ინგლისურის, როგორც საკომუნიკაციო მედიუმის, როლი უფრო და უფრო იზრდება. ეს პროცესი აისახება სოციალური ცხოვრების ყველა სფეროზე. აქ არც უმაღლესი განათლების სფეროა გამონაკლისი.

მეთოდი

ჩვენი კვლევის პროცესში ლინგვისტური ანალიზის რამდენიმე მეთოდი გამოვიყენეთ. უმაღლესი განათლების ისეთი ტერმინების გამოსაცალკევებლად, რომლებიც ჩენი კვლევის ფაქტობრივი მასალა იქნებოდა, უწყვეტი შერჩევის მეთოდი გამოვიყენეთ. შემდეგი ეტაპი იყო ტერმინების ეტიმოლოგიის დასახელება (ეტიმოლოგიური მეთოდი). ამის შემდეგ უნდა განგვესაზღვრა იმ ტერმინების ზუსტი მნიშვნელობა, რომლებთანაც გვქონდა შეხება. ამ ეტაპზე ჩვენ გამოვიყენეთ ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ლექსიკური განსაზღვრების ანალიზის

მეთოდი, აღწერითი მეთოდი და კონტექსტუალური მეთოდი, რადგან ჩვენ მიერ გამოცალკევებული ტერმინები ფუნქციონირებდნენ ევროპული უნივერსიტეტების ბროშურების ტექსტებში. მოგვიანებით გამოვიყენეთ სტრუქტურული მეთოდი უმაღლესი განათლების ტერმინების სემანტიკურ სტრუქტურაში აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის ბალანსის დასადგენად. ლათინიზმებისა და ანგლიციზმების გამოყენება უმაღლესი განათლების ჰოლანდიურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ და ესპანურ ენებში შემღება ახსნას ზოგიერთი ექსტრალინგვისტური ფაქტორით (რომლებიც აღიწერება მოცემულ ნაშრომში). განსაკუთრებულობების აღმოსაჩენად გამოვიყენეთ კომპლექსური ანალიზის მეთოდი. ჩვენ მოვახდინეთ კონცენტრაცია თანამედროვე უმაღლესი განათლების ტექსტებზე, რომლებიც ფუნქციონირებენ განათლების თანამედროვე სისტემაში (სინქრონული მეთოდი); თუმცა, გაანალიზებულ ბროშურებში ლათინიზმებისა და ანგლიციზმების გამოყენება, გარკვეულწილად, ხალხის გამოცდილების ბრალიცაა (ემპირიული მეთოდი). უნივერსიტეტების ბროშურების ტექსტებში ლათინიზმებისა და ანგლიციზმების ფუნქციონირები ტენდენციის შესამოწმებლად ჩვენ ფუნქციონალური და პარადიგმული მეთოდები გამოვიყენეთ; კატეგორიებში

უმაღლესი განათლების ტერმინების დისტრიბუციისთვის კი დისტრიბუციულ მეთოდს მივმართეთ.

დისკუსია და შედეგები

ინგლისურის თანამედროვე ევროპაში ლინგვა ფრანკად მიჩნევის და თანამედროვე სპეციალისტისთვის საჭირო მულტილინგვური კომპეტენციების ტენდენციების შესამოწმებლად ჩავატარეთ კვლევა უმაღლესი განათლების ტერმინების სფეროში. ენის მასალა მოცემულ კვლევაში ავარჩიეთ 5 ევროპული ქვეყნის ვებგვერდებიდან: ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი. დავადგინეთ, რომ ევროპული უნივერსიტეტების ოფიციალურ ვებგვერდებზე ფუნქციონირებს რამდენიმე ენა. ეს ფაქტორი ამტკიცებს, რომ მულტილინგვურობის ტენდენცია მართლაც აქტუალური და მნიშვნელოვანია თანამედროვე ევროპაში.

კვლევა ჩატარდა სამ საფეხურად. პირველ საფეხურზე ავირჩიეთ ტოპ-უნივერსიტეტები ევროკავშირის 5 ქვეყნიდან: ბელგია (*ლიოვენის კათოლიკური უნივერსიტეტი*), გერმანია (*მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი*; *რუპრეხტ-კარლის სახელობის ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი*), საფრანგეთი (*უმაღლესი ნორმალური სკოლა, პარიზი*; *პოლიტექნიკური სკოლა*), იტალია (*ბოლონიის უნივერსიტეტი*; *საპიენცა* -

რომის უნივერსიტეტი) და ესპანეთი (ბარსელონის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი; მადრიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი). ამ უნივერსიტეტების არჩევა აიხსნება მათ წამყვან პოზიციებზე ევროპაში, TopUniversities service-ს შემოთავაზებული რეიტინგით [1.a.i.24].

მეორე საფეხური იყო ზემოთ დასახელებული უნივერსიტეტების ვებგვერდებიდან უმაღლესი განათლების ტერმინების გამოცალკევება. უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ინფორმაცია ამ ვებგვერდებზე წარმოდგენილია თითოეული ქვეყნისათვის შესაბამის მშობლიურ ენაზე (გერმანიაში გერმანულად, იტალიაში იტალიურად და ა.შ.).

დაბოლოს, მესამე საფეხურზე გავაანალიზეთ უმაღლესი განათლების ტერმინოლოგიაში ინგლისური ენის ფუნქციონირების თავისებურებები და განვსაზღვრეთ მისი როლი უმაღლესი განათლების ტერმინთა შექმნაში.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი ევროპაში მულტილინგვურობის გავრცელებისა და ევროპულ უმაღლესი განათლების სივრცეში ინგლისური ენის დომინირებაში არის ის, რომ თითოეული ვებგვერდი წარმოდგენილია არა მხოლოდ სახელმწიფო ენაზე. ყოველ მათგანს აქვს ოფიციალური ენიდან (ჰოლანდიური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური) ინგლისურ ენაზე გადართვის ფუნქცია. შესაბამისად, ნებისმიერ

მნახველს შეუძლია იპოვოს საჭირო ინფორმაცია ევროპის ლინგვა ფრანკა ენაზე - ინგლისურად. ჩვენ ვთვლით, რომ ეს ფენომენი დაკავშირებულია ბოლონიის პროცესის მიერ „ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის“ დაწყებასთან, როდესაც სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა, აერჩიათ მაღალი ხარისხის კურსების ფართო სპექტრიდან, მათი აღიარების მარტივი პროცედურებით [1.a.i.22].

ვებგვერდების ბროშურების გამოკვლევამ საშუალება მოგვცა გამოგვეყო ტექსტებში „დამკვიდრებული“ ტერმინების სამი ჯგუფი:

- 1) ლათინური ნასესხობები (ლათინიზმები);
- 2) უმაღლესი განათლების ტერმინები ინგლისურიდან (ანგლიციზმები);
- 3) არასაგანმანათლებლო ტერმინები ინგლისურიდან.

ფაქტობრივი მასალის ანალიზმა საშუალება მოგვცა ვთქვათ, რომ ლათინიზმები ფართოდ გამოიყენება ყველა ბროშურაში, კვლევისათვის არჩეული უნივერსიტეტების ვებგვერდებზე. ამ ტერმინების სია შეიცავს ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა: *alma mater*, *campus*, *curriculum*, *agenda*, *minor*, *major*, *alumni*. საკმაოდ საინტერესოა ის ფაქტი, რომ საკუთარ ენებში შესატყვისების არსებობის მიუხედავად, ეს ტერმინები არ ითარგმნება და გამოიყენება თავიანთ საწყის ფორმაში, მათი საწყისი

მნიშვნელობით. მაგალითად:

1) *El campus principal de la UAB, situat a Cerdanyola des Vallès, és la seu de la majoria de facultats, departaments, instituts i serveis, i també d'un important cluster científic i tecnològic... (Universitat Autònoma de Barcelona, Spain);*

2) *Ala part específica, l'estudiant pot examinar – se de qualsevol matèria, sempre i quan figurin en el currículum... (Universitat Autònoma de Barcelona, Spain);*

3) *In sommige bacheloropleidingen kan je je voorbereiden op een niet-aansluitende master via keuzepakketten uit een ander studiegebied of 'minors'... (Universiteit Gent, Belgium).*

ჩვენი აზრით, მესამე მაგალითი განსაკუთრებით საინტერესოა: გახაზულია ტერმინები, რომლებიც ეკუთვნის მეორე ჯგუფს - ანგლიციზმებს - რომლებიც გამოვაცალკევებთ კვლევის პროცესში: *bachelor* და *master*. ამ ჯგუფის ტერმინების გამოყენება მათი საწყისი მნიშვნელობებით და „მოინგლისურო“ ფორმით არაა სპონტანური. ბოლონიის პროცესს ჰქონდა სამი მიზანი: სამციკლიანი სისტემის წარდგენა (ბაკალავრიატი / მაგისტრატურა / დოქტორანტურა), ხარისხის გარანტია და კვალიფიკაციებისა და სწავლის პერიოდების აღიარება [1.a.i.21]. ეს მიზნები ხელს უწყობენ ისეთი ტერმინების დამკვიდრებას, როგორებიცაა: *Bachelor, Master, PhD, postdoc, quality assurance, awards, certificate, etc.* მაგალითად:

1) *Sulla base degli accordi stabiliti con le*

istituzioni partner, i programmi dottorali congiunti potranno sfociare in titolo conferito congiuntamente da due o più istituzioni partner (congiunto, joint PhD degree) oppure conferito separatamente da due o più istituzioni partner (titolo doppio/multiplo, double/multiple Degree) (Sapienza – Università di Roma, Italy);

2) *També és possible realitzar estades a d'altres universitats encara que no organitzin específicament setmanes Erasmus per al PAS sempre i quan la instrucció de destinació ho accepti i lliuvi el Work Plan i el Bilateral Agreement (Universitat Autònoma de Barcelona, Spain).*

ჩვენი კვლევის პროცესში ასევე დავადგინეთ, რომ ბუქარესტის კომუნიკეში [1.a.i.17], 2012 წლის აპრილში, რომელიც დაფუძნებულია 2009 წლის ლიოვენის კომუნიკეზე [1.a.i.18], მინისტრებმა მოახდინეს თანამედროვე ბოლონიის პროცესის სამი საკვანძო პრიორიტეტის იდენტიფიკაცია - მობილურობა, დასაქმებადობა და ხარისხი, და ხაზი გაუსვეს უმაღლესი განათლების მნიშვნელობას ევროპის უნარისათვის, გაუმკლავდეს ეკონომიკურ კრიზისს და ხელი შეუწყოს ზრდას და დასაქმებას. ეს საკვანძო კონცეფციები ვერბალიზებულია ოფიციალურ ვებგვერდებზე და გაანალიზებულია უნივერსიტეტების მიერ ისეთი უმაღლესი განათლების ტერმინების გამოყენებით ინგლისური ენიდან, როგორებიცაა: *Teaching Staff Mobility, Staff Mobility Week, Lifelong Learning, ECTS, visiting lecturer, visiting student* (“free mover”), *Erasmus for*

Study, visiting professor, researchers in motion, career service, Erasmus study visit etc. ეს ტერმინებიც წარმოდგენილია „მოინგლისურო“ ფორმებით ტექსტში, რომელიც უნივერსიტეტის ქვეყნის ოფიციალურ ენაზეა დაწერილი. მაგალითად:

1) *Per diventare "free mover" (o "visiting student") si devono seguire le seguenti modalità (Sapienza – Università di Roma, Italy);*

2) *50 Postdocs besuchen die TUM fünf Tage lang auf der Research Opportunities Week - vollfinanziert durch die TUM mit dem Postdoc Mobility Travel Grant (Technische Universität München, Germany).*

ჩვენი კვლევის პროცესში აღმოვაჩინეთ, რომ უმაღლესი განათლების ტერმინები ინგლისური ენიდან შეიძლება დაიყოს რამდენიმე ქვეჯგუფად: ზოგიერთი ტერმინი დაკავშირებულია უნივერსიტეტის შიდა აქტივობებთან, მაგალითად *Erasmus outcoming/incoming Studenti, International Office, International Curricula, un programma overseas, partnership, External Cooperation Window, exchange student, study visit*; ზოგიერთი - სასწავლო პროცესის ზოგიერთ ასპექტთან, მაგალითად *le Summer e Winter School, workshop, fields of focus, focus area, graduate school, Institute for Advanced Study*; ზოგიერთი უმაღლესი განათლების ტერმინები ინგლისურიდან ახდენს პოზიციების სახელების ვერბალიზებას, მაგალითად *Head of Networks Section, HR manager, Senior Research Fellow, Senior Vice President für Internationale Allianzen und*

Alumni, Senior Project Manager. ეს ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ქმნიან ქვეჯგუფებს, ასახელებენ რეგალიებს ინგლისურ ენაში. შესაბამისად, აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის ბალანსის დასაცავად შენარჩუნებულია სიტყვათა ორიგინალური ფორმები.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მესამე ჯგუფი, რომელიც გამოვყავით კვლევის პროცესში, იყო არასაგანმანათლებლო ტერმინები ინგლისურიდან. ეს ჯგუფი ყველაზე პატარაა და შეიცავს ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა *job vacancies, welfare, patent library, events, online, download, home page.*

დასკვნა

არჩეული ევროპული უნივერსიტეტების ვებგვერდების ბროშურების ტექსტების გაანალიზების შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ ჰოლანდიურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ და ესპანურ ტექსტებში დამკვიდრებული ლათინიზმებისა და ანგლიციზმების გამოყენება შეიძლება აიხსნას თანამედროვე უმაღლესი განათლების სისტემის ტერმინოლოგიური აპარატის გაერთიანების საჭიროებით, რათა ის გახდეს ჰომოგენური და თავი ავარიდოთ მცდარ სემანტიკურ ინტერპრეტაციებს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს მიგვიყვანს ევროპის საგანმანათლებლო სფეროს გამართულ ფუნქციონირებამდე, და რომ ევროპის ყველა ქვეყნის სტუდენტები

შეძლებენ, მაქსიმალურად გამოიყენონ ბოლონიის პროცესით გაწერილი ყველა შესაძლებლობა, რაც მულტილინგვური საზოგადოების შექმნამდე მიგვიყვანს.

დასასრულ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინგლისური დღეს მართლაც შეიძლება მივიჩნიოთ ევროპის ლინგვა ფრანკად. გარდა ამისა, ის წარმატების მსურველი თანამედროვე სპეციალისტისთვის აუცი-

ლებელი მულტილინგვური უნარების ერთ-ერთი კომპონენტია. მულტილინგვურობის ტენდენცია ამჟამად ჩანს თანამედროვე ევროპაში, რაზეც გავლენას გლობალიზაციის პროცესი ახდენს, თუმცა, მულტილინგვურობა საკმაოდ ახალი და მრავალმხრივი ფენომენია, რომლის ყოველი ასპექტიც დამატებით ანალიზს საჭიროებს.

წყაროები:

1. Dewaele J., Wei L. Multilingualism, Empathy, and Multicompetence / J. Dewaele // *International Journal of Multilingualism*. – 2012. – P. 1–15.
2. Foucault M. *This is Not a Pipe* / M. Foucault. – Berkeley and Los Angeles, California, 1983.
3. Hornberger N., Vaish V. Multilingual Language Policy and School Linguistic Practice: Globalization and English-language Teaching in India, Singapore and South Africa / N. Hornberger, V. Vaish // *Compare: A Journal of Comparative and International Education*. – 2008. – P. 1-15.
4. James A. R. English as a European Lingua Franca: Current Realities and Existing Dichotomies / A. R. James // *English in Europe: The Acquisition of the Third Language*. – Stroud, 2000.
5. Jesenská P. Eurospeak and ELF – English as a current global Lingua Franca. – Matej Bel University. Banská Bystrica, Slovakia. — 21 p.
6. Jenkins J. *World Englishes: A resource book for students*. – London: Routledge, 2003. – 233 p.
7. Kachru B.B. *World Englishes 2000: Resources for research and teaching* / B.B. Kachru // L. Smith (Ed) *World Englishes 2000*. – Honolulu, 1997. – P.209-251.
8. Keller R. *A Theory of Linguistic Signs*. / R Keller. – New York: Oxford University Press, 1995.
9. Mollin S. English as a Lingua Franca: A New Variety in the New Expanding Circle? // *Nordic Journal of English Studies*. – 2006. – Vol. 5, No 2. – 18 p.
10. *Multilingual Europe: Reflections on Language and Identity* / Ed. by J. Warren and H. M. Benbow. – Cambridge, 2008.
11. Ogden C. K., Richards I. A. *The Meaning of Meaning* / C. K. Ogden, I. A. Richards. – London, New York, 1923.
12. Saussure Ferdinand de *Nature of the Linguistics Sign* / F. de Saussure // Charles Bally &

Albert Sechehaye (Ed.), *Cours de linguistique générale*. – McGraw Hill Education, .

13. Seidlhofer B. Research Perspectives on Teaching English as a *ლინგვა ფრანკა* // 24 Annual Review of Applied Linguistics, 2004. – P. 209-239.

14. Wilton A., Houwer A. de *The Dynamics of English in a Multilingual Europe* / A. Wilton, A. de Houwer // *English in Europe Today: Sociocultural and Educational Perspectives*. – Amsterdam, 2011. – P. 1-13.

15. Wilton A. Multilingualism and foreign language learning / A. Wilton // *Handbook of Foreign Language Communication and Learning*, K. Knapp & B. Seidlhofer (eds). – Berlin: Mouton de Gruyter, 2009. – P. 45-78

16. Камшилова О.Н. Английский язык как *lingua franca*: функция языка или языковая форма? / О.Н. Камшилова // *Известия РГПУ им. А. И. Герцена*. – СПб, 2006. – с. 61-74.

ვებ-წყაროები

17. Bucharest Communiqué // [http://www.ehea.info/Uploads/\(1\)/Bucharest%20Communique%202012\(2\).pdf](http://www.ehea.info/Uploads/(1)/Bucharest%20Communique%202012(2).pdf)

18. Communiqué of the Conference of European Ministers Responsible for Higher Education, Leuven and Louvain-la-Neuve, 28-29 April 2009 // http://www.ond.vlaanderen.be/hogeronderwijs/bologna/conference/documents/leuven_louvain-la-neuve_communicu%C3%A9_april_2009.pdf

19. Eurostat // <http://wikipedia.org/wiki/Eurostat>.

20. Multilingualism in the European Union // http://www.ecose.org/gr8parents_files/multilingualism_in_eu.doc

21. The Bologna Declaration of 19 June 1999 // http://www.bologna-bergen2005.no/Docs/00-Main_doc/990719BOLOGNA_DECLARATION.PDF

22. The Bologna Process - Towards the European Higher Education Area // http://ec.europa.eu/education/higher-education/bologna_en.htm

23. Tlaxcala's Manifesto // <http://www.tlaxcala.es/manifiesto.asp?section=2&lg=en>

24. Top Universities: Worldwide University Rankings, Guides and Events // <http://www.topuniversities.com/>

25. Тремблей К. От мультилингвизма/многоязычия к плюрилингвизму // http://51959387.fr.strato-hosting.eu/plurilinguisme/images/Recherche/multilinguisme_plurilinguisme%20russe.pdf.